



Economic Policy Research Center

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

ფერმერთა მხარდაჭერის სახელმწიფო
პროგრამები და მათი შესაბამისობა DCFTA-ის
მოთხოვნებთან

თბილისი

2017



GEORGIA

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

სამთავროს საზოგადოების განვითარებისა
და მოქალაქეების ჩართულობის პროექტი

ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY
FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

პროექტი ხორციელდება ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის (EPRC) მიერ მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში.

პუბლიკაციის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის (EPRC) . ის შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან/და EWMI-ს შეხედულებებს.

DCFTA-ის შესახებ

2014 წლის 27 ივნისს, საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეს (DCFTA). DCFTA 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა, რამაც საქართველოში წარმოებულ საქონელს გაუხსნა მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს.

DCFTA-ის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოში უნდა მოხდეს ყველა შესაბამისი დირექტივის დანერგვა და სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვის და ვეტერინარიის სისტემის რეფორმირება. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს არა მარტო ევროკავშირში ექსპორტის ზრდას, არამედ დაიცავს ადგილობრივ მომხმარებლებსაც.

DCFTA-ის მე-4 თავი (სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები) სურსათის უვნებლობის საკითხებს ეხება, რაც საკანონმდებლო ზომების ევროკავშირის ნორმებთან დაახლოებას ითვალისწინებს.¹

აღნიშნული თავის მიზანია, ხელი შეუწყოს ცხოველებითა და მცენარეებით, ასევე ცხოველური და მცენარეული წარმოშობის პროდუქტებით ვაჭრობას და ამავე დროს, უზრუნველყოს მხარეთა მიერ დაცვის სათანადო ხარისხი. გარდა ამისა, საქართველომ სანიტარული და ფიტოსანიტარული კანონმდებლობა შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან (რომელიც ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ სანიტარულ და ფიტოსანიტარულ სტანდარტებს).

სოფლის მეურნეობის სამინისტრო მუშაობს ყველა ევრო რეგლამენტის და რეგულაციის დამტკიცების მიმართულებით. მთელ რიგ მოთხოვნებს პირდაპირი გავლენა აქვს, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველად მწარმოებლებზე, ასევე სურსათის მწარმოებლებზეც. ამ მოთხოვნების ცხოვრებაში გატარებას მწარმოებლების მიერ წარმოების პროცესებში გარკვეული ცვლილებების განხორციელება სჭირდება. იგულისხმება მთელი რიგი სანიტარულ-ჰიგიენური, პროცედურული თუ ინფრასტრუქტურული ცვლილებების განხორციელება.

საინტერესო იქნება სოფლის მეურნეობის სამინისტროს განხორციელებული პროგრამების მიმოხილვა. ერთის მხრივ, შესაძლებლობა იქნება რომ შეფასდეს თუ რამდენად მორგებულია ეს პროგრამები იმ საჭიროებებზე, რაც სასოფლო-სამეურნეო სექტორში დაკავებულ მეწარმეებს აქვთ DCFTA-ის მოთხოვნების მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ, ამ პროგრამების დეტალური აღწერილობა დაეხმარება პოტენციურ ბენეფიციარებს (განსაკუთრებით საქართველოს სხვადასხვა მხარეებში), რომ ჰქონდეთ ერთიანად თავმოყრილი ინფორმაცია ამ პროგრამების შესახებ.

¹ სრული ტექსტი: http://eeas.europa.eu/georgia/pdf/eu-ge_aa-dcfta_en.pdf

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაფინანსებული სასოფლო-სამეურნეო დახმარების პროგრამები

ბოლო წლებში, საქართველოს მთავრობამ აგრარული დარგის განვითარების მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დაიწყო. ეს პროექტები ხორციელდება საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერითა და კერძო სექტორის აქტიური ჩართულობით. მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების წყალუზრუნველყოფის მიმართულებით, ქაობების დაშრობის მიმართულებით, გარდა ამისა, მიმდინარეობს მევენახეობის, თხილის, ქართული ჩაისა და მეფუტკრეობის დარგების განვითარების ხელშემწყობი პროექტები. საკმაოდ წარმატებით განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რეფორმა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ პოზიტიური შედეგებია მიღწეული როგორც სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარიის, ასევე ლაბორატორიული კვლევებისა და დიაგნოსტიკის მიმართულებებით განხორციელებული ღონისძიებების საფუძველზე.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს ფერმერებისადმი გამიზნულ რამდენიმე დახმარების პროექტს, რომელთა მოსარგებლე შეიძლება იყოს როგორც პირველადი წარმოებით, ასევე სურსათის წარმოებით დაკავებული მეწარმეები. დახმარებები ძირითადად სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ხორციელდება და მათ უშუალოდ ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო

დანერგე მომავალი. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში არსებული სასოფლო სამეურნეო მიწების ეფექტურ გამოყენებას მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლებას და საექსპორტო პოტენციალის ზრდას. ეს არის თანადაფინანსების პროექტი და შედგება ორი კომპონენტისგან: მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსება და სანერგე მეურნეობების თანადაფინანსება. სანერგე მეურნეობაში თანადაფინანსების მაქსიმალური ოდენობა არის 50%, წვეთოვანი სარწყავ სისტემებში 50% და ბაღების გაშენებაში 70%. პროექტის ბენეფიციარი შეიძლება იყოს როგორც პირველადი წარმოებით ასევე სურსათის წარმოებით დაკავებული ფერმერი.

პროგრამის ბაღების კომპონენტი მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას და ითვალისწინებს მრავალწლოვანი კულტურების ბაღების გაშენების თანადაფინანსებას საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში და თვითმმართველ ქალაქში (თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ბათუმის და ფოთის გარდა). ეს კომპონენტი მოიცავს ტექნიკურ დახმარებასაც, კერძოდ ტრენინგი შემდეგ საკითხებზე:

- გაშენებულ ბაღში ნერგების გასხვლის ტექნოლოგიების პრაქტიკული სწავლება;

- მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის სისტემების დანერგვა;
- ბალის მორწყვისა და მცენარეთა კვების უზრუნველყოფის საკითხები.

სანერგეების შემთხვევაშიც პროექტის გავრცელების არეალი იგივეა და პროექტს აქვს ტრენინგის კომპონენტიც შემდეგი მიმართულებით: სარგავი მასალის გამრავლების ტექნოლოგიები და სარგავი მასალის სერტიფიცირების პრინციპები.

სანერგეების კომპონენტის ფარგლებში, ფინანსური დახმარება ითვალისწინებს პოტენციური ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი ფულადი დახმარების გამოყოფას თანადაფინანსების სახით სანერგე მეურნეობის მოსაწყობად ან არსებული მეურნეობის განსავითარებლად. თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს წარმოდგენილი პროექტით განსაზღვრული დასაფინანსებელი ღირებულების ერთ ბენეფიციარზე ჯამურად არაუმეტეს 150 000 ლარის ოდენობით.

დღეის მდგომარეობით, აღიშნული პროექტის ფარგლებში დამტკიცებულია 249 პროექტი, მათგან მრავალწლოვანი ბაღების 246 და სანერგე მეურნეობის 3 პროექტი. მთლიანად გაშენებულია 1514 ჰექტარი ბაღი. პროექტის ბენეფიციარი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ან ინდივიდუალური მენარმე, საქართველოში დაფუძნებული საწარმო ან კოოპერატივი.

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა. პროექტის მიზანია, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის თანადაფინანსება. მიწის მფლობელთათვის მოქმედებს რეაბილიტაციის ღირებულების 60%-იანი თანადაფინანსების კომპონენტი, ხოლო იჯარის შემთხვევაში 70%-იანი თანადაფინანსება. კოოპერატივების შემთხვევაში შესაბამისად, 80% და 90%-ანი თანადაფინანსება. სულ დაფინანსებულია 6 პროექტი, რომლებითაც სარგებლობს 5 ბენეფიციარი. პროექტით მოსარგებლე შეიძლება იყოს როგორც პირველადი წარმოებით, ასევე სურსათის წარმოებით დაკავებული პირი.

აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა. პროგრამას აქვს როგორც პირველადი წარმოების, ასევე გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტი. პროექტის მიზნებია:

- პირველადი წარმოების პროდუქტის ხარისხისა და მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობა;
- არსებული ბაღების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების ხელშეწყობა;
- მოქმედი გადამამუშავებელი და შემნახველი აგროსაწარმოების გაფართოებისა და მოდერნიზაციის ხელშეწყობა;
- საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა.

პროექტი ხორციელდება შიდა ქართლის, კახეთის, სამეგრელოს და აჭარის მხარეებში. პროექტის ფარგლებში დასაფინანსებელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჩამონათვალი შემდეგია: ატამი, ვაშლი, ბოსტნეული, კივი, ხურმა, დაფნა, თაფლი და ლურჯი მოცვი.

პროექტის მხრიდან თანადაფინანსების წილია 40%. პირველადი წარმოების მიზნობრიობით, პროგრამის ფარგლებში ინდივიდუალური ფერმერებისთვის თანადაფინანსება განისაზღვრება არაუმეტეს 15 000 აშშ დოლარის ექვივალენტით ლარში, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის - 15 000 აშშ დოლარის ექვივალენტით ლარში (მის

თითოეულ მეპაიეზე გადაანგარიშებით), მაგრამ არაუმეტეს - 150 000 აშშ დოლარისა.

რაც შეეხება დაფინანსების მიზნობრიობას, პირველადი წარმოებისთვის ის შემდეგია:

- არსებული ბალების განახლება - ნიადაგის მართვის ტექნოლოგიების დანერგვა, თანამედროვე სარწყავი სისტემებით და სეტყვისგან დამცავი ბადეებით უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და სერტიფიცირება;
- ორგანული და კონსერვაციული სოფლის მეურნეობა;
- მცირე ზომის სასათბურე მეურნეობების მოწყობა / განახლება;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა-აღჭურვილობის შეძენა.

პოტენციური ბენეფიციარი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შემთხვევაში იგი დარეგისტრირებული უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოში. ინდივიდუალური ფერმერი უნდა ფლობდეს 0.1 ჰექტარიდან 10 ჰექტრის ჩათვლით მიწის ფართობს. ხოლო, სარწყავი სისტემის მოწყობის მიზნით თანადაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში, პოტენციურ ბენეფიციარს უნდა ჰქონდეს წვდომა განახლებად სარწყავ წყალთან.

გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების მიზნით, პროგრამის ფარგლებში იურიდიული პირების (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების) თანადაფინანსება განისაზღვრება არაუმეტეს 75 000 აშშ დოლარის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში. ხოლო დაფინანსების მიზნობრიობა არსებული გადამამუშავებელი/შემნახველი საწარმოების მოდერნიზაცია, მანქანა-დანადგარების შეძენა, წარმოებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა/განახლება და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და სერტიფიცირება. პოტენციური ბენეფიციარი დარეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოში, საკუთრებაში უნდა ჰქონდეს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე გადამამუშავებელი საწარმო. გადამამუშავებელი საწარმო უნდა იყოს მოქმედი და მას უნდა გააჩნდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავების არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება.

შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი. პროექტის მიზანია ფერმერებისთვის იაფი და გრძელვადიანი ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობა. 2013-2016 წლებში პროექტის ფარგლებში გაწეულმა თანადაფინანსების მთლიანმა თანხამ 120 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა. 2016 წლის აგვისტოს მდგომარეობით სულ გაცემულია დაახლოებით 27 ათასი სესხი, დაფინანსებულია 134 ახალი და 700 გადაირალებული საწარმო. პროექტს გააჩნია 4 ძირითადი კომპონენტი:

- ძირითადი საშუალებებისთვის - 11%-იანი თანადაფინანსება;
- აწარმოე საქართველოში - 10%-იანი თანადაფინანსება (ხორციელდება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად);
- საბრუნავი საშუალებები სპეციალიზირებული და სეზონური პროექტებისთვის - 8%-იანი თანადაფინანსება;
- შელავათიანი აგროლიზინგი - 12%-იანი თანადაფინანსება.

პროექტის თანამონაწილეები არიან საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკები. პროექტის ბენეფიციარმა პროექტი უნდა წარადგინოს კომერციულ ბანკში, ხოლო პროექტის

დამტკიცების შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას და მიზნობრიობის კონტროლს. პროექტის ბენეფიციარი შეიძლება იყოს როგორც პირველადი, ასევე სურსათის მწარმოებელი.

აგროდაზღვევა. პროექტი მოქმედებს 2014 წლის სექტემბრიდან და მისი მიზანია აგროდაზღვევის კულტურის გაზრდა, ასევე ბაზრის განვითარება და გრძელვადიანი მდგრადი სისტემის შექმნა. 2014-2016 წლებისთვის პროექტის მთლიანმა ბიუჯეტმა შეადგინა 30 მილიონი ლარი. მთლიანობაში გაცემულია 42 ათასზე მეტი პოლისი. პროექტის თანამონაწილეები არიან სადაზღვევო კომპანიები. პროექტი ფარავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს: სეტყვა, ქარბი ნალექი, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა.

პროექტის ბენეფიციარი სადაზღვევო განაცხადს წარადგენს სადაზღვევო კომპანიაში და იხდის სადაზღვევო პრემიის ნაწილს, სადაზღვევო კომპანია აზღვევს ტერიტორიას, ხოლო სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო იხდის სადაზღვევო პრემიის ნაწილს.

ბენეფიციარს შეუძლია დააზღვიოს 5 ჰექტარამდე ფართობის მიწის ნაკვეთი (მარცვლეულის შემთხვევაში 30 ჰექტარამდე). თითოეული დამზღვევი 70%-იან თანადაფინანსებას მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კულტურაზე, ხოლო ვაზზე 50%-ს.

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება. პროექტი მოიცავს ორ კომპონენტს: 1) სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტი და 2) შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტი. პროექტს გააჩნია დაფინანსების 3 მეთოდი:

- სააგენტოს თანადაფინანსება - პროექტის ჯამური ღირებულების 40%, მაგრამ არაუმეტეს 250 000 აშშ დოლარისა (ექვივალენტი ლარში);
- შეღავათიანი კრედიტი/ლიზინგი - პროექტის ჯამური ღირებულების არაუმეტეს 50%, მაგრამ არაუმეტეს 500 000 აშშ დოლარისა (ექვივალენტი ლარში);
- ბენეფიციარის საკუთარი თანამონაწილეობა - პროექტის ჯამური ღირებულების არანაკლებ 10%, საწარმოს კაპიტალში ფულადი შენატანის სახით.

თანადაფინანსების მიზნობრივი არეალია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი ქალაქი, შემდეგი თვითმმართველი ქალაქების გარდა: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი.

გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტი ითვალისწინებს საწარმოს შექმნის მსურველი კომპანიების ტექნიურ დახმარებასაც.

2013-2016 წლებში ხორციელდებოდა 29 პროექტი.

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი. პროექტის მიზანი მცირემიწიან ფერმერთა საქმიანობის სტიმულირება იყო. პროექტის ფარგლებში მცირემიწიანი ფერმერები უსასყიდლოდ იღებდნენ მიწის დამუშავების მომსახურებას და სასოფლო სამეურნეო საქონელს (სასუქი, სათესლე მასალა, მცენარეთა მოვლის საშუალებები, ნერგები). პროექტის ბენეფიციარები იყვნენ ფერმერები, რომელთა საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ერთწლიანი კულტურებისთვის განკუთვნილი სახნავი მიწის ჯამური ფართობი არ აღემატებოდა 1.25 ჰექტარს. პროექტით ის ფერმერებიც სარგებლობდნენ, რომლებსაც არ გააჩნდათ ერთწლიანი კულტურებისთვის განკუთვნილი სახნავი მიწის ნაკვეთი და ჰქონდათ

მრავალწლიანი კულტურებით გაშენებული მიწის ნაკვეთ(ებ)ი, რომელთა ფართობების ჯამი არ აღემატებოდა 1.25 ჰექტარს. ამავე დროს, ფერმერთა საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით გაშენებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი არ უნდა ყოფილიყო 5 ჰექტარზე მეტი.

პროექტის ფარგლებში მოსარგებლეები სარგებელს იღებდნენ სასოფლო-სამეურნეო (ხვნის) ბარათის ან „აგრო ბარათზე“ დარიცხული ქულების სახით. „ხვნის ბარათი“ გამოიყენებოდა ერთწლიანი კულტურებისთვის განკუთვნილ მიწის ნაკვეთზე ხვნის სამუშაოების მისაღებად. „აგრო ბარათი“ იყო საბანკო ბარათი, რომლის ალებაც პროექტის მოსარგებლეებს „ლიბერთი ბანკი“-ს ნებისმიერ ფილიალში შეეძლოთ. „აგრო ბარათზე“ ირიცხებოდა პროექტის ფარგლებში მოსარგებლისთვის განკუთვნილი სარგებლის ღირებულების შესაბამისი ქულები (1 ლარი უტოლდებოდა ერთ ქულას). აგრო ბარათზე დარიცხული ქულების მეშვეობით მოსარგებლეს შეეძლო მხოლოდ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების საქონლის (სასუქი, სათესლე მასალა, სანერგე მასალა და მცენარეთა მოვლის საშუალებები) შეძენა მომწოდებლებისგან.

2013-2016 წლებში 800,000 მდე მცირე მიწიანმა ფერმერმა მიიღო 350,000,000 ლარამდე სარგებელი (მიწის დამუშავება, სასოფლო სამეურნეო საქონელი).

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის გზით. პროგრამის მიზანია თხილის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნა. პროგრამა ფარავს მხოლოდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტს. პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილი კოოპერატივებში მოეწეობა გამართული საწარმოო ინფრასტრუქტურა. მონაწილე კოოპერატივმა 2018 წლის 1 სექტემბრამდე უნდა უზრუნველყოს გლობალური სოფლის მეურნეობის საუკეთესო პრაქტიკის (Global GAP) დანერგვა და 2019 წლის 1 ივნისამდე უზრუნველყოს იჯარით აღებულ საწარმოში საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის (HACCP) დანერგვა. ამ ყველაფრის უზრუნველსაყოფად, უსასყიდლოდ განხორციელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისათვის შესაბამისი საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება.

მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა. პროგრამის მიზანია:

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუტკრე მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და წარმოებული თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის ზრდა;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კაპიტალური ინვესტირების განხორციელება და მეპაიეთა კვალიფიკაციის ამაღლება.

პროგრამაში მონაწილეს თანადაფინანსებით, გრანტის სახით ღირებულების 30%-ად გადაეცემა:

- მათ საკუთრებაში არსებული სკების იდენტური რაოდენობა, მაგრამ არა უმეტეს 100 ცალი;

- 1 ცალი 12 ჩარჩოიანი თაფლის საწური (ციბრუტი);
- 2200 ლიტრის ტევადობის თაფლის შესანახი ავზები.

იმ მონაწილეს რომელთა მეპაიეების 50%-ს შეადგენენ მოწყვლადი ჯგუფები (დევენილები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები) ამ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი კაპიტალური ინვესტირება გადაეცემათ მათი ღირებულების 20% -ის ოდენობით.

პროგრამას გააჩნია ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტი. კერძოდ:

- მონაწილე მიიღებს ტექნიკურ დახმარებას „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბერის №714 დადგენილების ძირითადი მოთხოვნების დანერგვასთან დაკავშირებით. მონაწილეს უფლება არ აქვს, უარი თქვას ტექნიკური დახმარების მიღებაზე;
- ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში მონაწილეს უფლება აქვს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიას შესამოწმებლად წარუდგინოს მის მიერ წარმოებული თაფლის ერთი ნიმუში უსასყიდლოდ.

რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა. პროგრამა შედგება 2 კომპონენტისგან: კაპიტალური ინვესტირება და ტექნიკური დახმარება.

პროგრამის მიზანია:

- რძისა და რძისნაწარმის წარმოების ხელშეწყობა;
- რძის გადამამუშავებელი ინდუსტრიის ნედლი რძით უზრუნველყოფა;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფარგლებში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ნედლი რძის მიმღებ - გადამამუშავებელი საწარმოების ჩამოყალიბების სტიმულირება
- ადგილობრივი რძისა და რძის ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივებში არსებული მსხვილფეხა საქონლის ჯიშობრივი გაუმჯობესება.

კაპიტალური ინვესტირების კომპონენტის ფარგლებში მაღალმთიან დასახლებებში რეგისტრირებულ კოოპერატივებს, რომელთა მეპაიეთა საკუთრებაში არსებული ფურების რაოდენობა აღემატება 50 სულს, გადაეცემათ რძის საწარმოს აღჭურვილობა. რძის საწარმოს აღჭურვილობა გადაეცემათ იმ მთელი ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებულ კოოპერატივებსაც, რომელთა მეპაიეთა საკუთრებაში არსებული ფურების რაოდენობა არის არა ნაკლებ 150 სული.

ხოლო ტექნიკური დახმარების მიმართულებით, მონაწილე მიიღებს ტექნიკურ დახმარებას შემდეგი მიმართულების შესაბამისად:

- ნედლი რძის შემკრები პუნქტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ტექნიკური და მეთოდოლოგიური საკითხები;
- სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესით, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული და ასევე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სპეციფიკური მოთხოვნები ნედლი რძის მიმართ;
- ადგილზე ნედლი რძის ფიზიკურ-ქიმიური და ორგანოლექტიკური მახასიათებლების ლაბორატორიული გამოკვლევისათვის შესაბამისი მეთოდოლოგიური საკითხები;
- ხელოვნურ განაყოფიერებასთან და აღჭურვილობის გამოყენებასთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვის სახელმწიფო პროგრამა. პროგრამის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (ტრაქტორები) ღირებულების სუბსიდირებას შემდეგი პირობებით:

- 1) კოოპერატივის მიერ, საქართველოში აწყოილი ერთი ერთეული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის(ტრაქტორები) შეძენისას დაფინანსდება ტექნიკის ღირებულების 30% (დღგ-ს ჩათვლით), მაგრამ არაუმეტეს პროგრამით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობისა;
- 2) კოოპერატივი, რომელიც რეგისტრირებულია „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დასახლებებში, ან/და რომლის მეპაიეთა არანაკლებ 50%-ს წარმოადგენენ დევნილები , ქალები და ახალგაზრდები საქართველოში წარმოებული ერთი ერთეული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (ტრაქტორები) შეძენისას მიიღებს ტექნიკის ღირებულების 40% (დღგ-ს ჩათვლით),მაგრამ არაუმეტეს პროგრამით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობისა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2017 წლის გეგმებში აღნიშნულია, რომ უმნიშვნელოვანესია სახელმწიფომ მხარი დაუჭიროს საწარმოებისთვის - მათ შორის, ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოებისთვის - საერთაშორისო სტანდარტის დანერგვას. ყველა საწარმო, რომელიც გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამით ფინანსდება, დანერგავს ISO-22 000-ის ან HACCP-ის საერთაშორისო სტანდარტს. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო სტანდარტის დანერგვის 80 %-ს აფინანსებს, აქედან 30 %-ს სახელმწიფო, ხოლო 50 %-ს დონორი ორგანიზაცია ფარავს, ბენეფიციარს მხოლოდ 20 %-ის გადახდა უწევს. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო „დანერგე მომავალისა“ და პროგრამა „ქართული ჩაის“ ბენეფიციარებსაც დაეხმარება GLOBAL GAP-ის პირველადი წარმოების სტანდარტის დანერგვაში: 50%-ს ბენეფიციარი დააფინანსებს, ხოლო 50 %-ს დონორი (USAID/REAP) ორგანიზაცია.

DCFTA მოთხოვნები

ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა, რაც პირველადმა მწარმოებელმა და სურსათის მწარმოებელმა უნდა შეასრულონ, არის რეგისტრაცია და ბიზნეს ოპერატორად აღიარება სურსათის მწარმოებლის შემთხვევაში. ასევე სავალდებულოა მცენარეების, მცენარეთა პროდუქტების მწარმოებლების და იმპორტიორების, შესაბამისი ობიექტების (საწყობი, სადისპენერო ცენტრი) სავალდებულო რეგისტრაცია.

მოთხოვნებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ არის სურსათის ჰიგიენის მოთხოვნები. ევროკავშირი აწესებს ზოგად ჰიგიენურ მოთხოვნებს სურსათის და ცხოველის საკვების მიმართ, ასევე ცხოველური წარმოშობის პროდუქციის მიმართ და ვრცელდება სურსათის და ცხოველის საკვების წარმოების, მათ შორის, პირველადი წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე. დაწესებულია გარკვეული მოთხოვნები საწარმოს ტერიტორიისადმი, საწარმოს შენობის მიმართ, სათავსოების მიმართ, წყალმომარაგების და კანალიზაციის მიმართ, აღჭურვილობისა და

მოწყობილობებისადმი და სხვა. ასევე არის მოთხოვნები საქონლის დაფასოების, შენახვის, ტრანსპორტირების და პერსონალის პირადი ჰიგიენის, ჯანმრთელობის მდგომარეობის და სწავლების მიმართ. ასევე სპეციალური მოთხოვნებია სასაკლაოების და სასაკლაოების პროცესების მიმართ. წარმოების მთელი პროცესის ჰიგიენის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისთვის დიდ ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს მოითხოვს. განსაკუთრებით რთული იქნება მცირე საოჯახო მეურნეობებისთვის. მართალია ეს მოთხოვნები საოჯახო მეურნეობებზე 2020 წლამდე არ ვრცელდება, მაგრამ 2020 წლამდე გარდამავალი პერიოდი საკმაოდ ეფექტურად შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც მხარდამჭერი ზომების მისაღებად.

მიკვლევადობის განსახორციელებლად აუცილებელია სურსათის მწარმოებელს ჰქონდეს სათანადო ინფორმაცია, აწარმოებდეს შესაბამის დოკუმენტაციასა და ჩანაწერებს. ამისათვის, მწარმოებელმა უნდა დანერგოს ისეთი სისტემები და პროცედურები, რომლებიც, მოთხოვნის შემთხვევაში, საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფს კომპეტენტურ ორგანოებს. შესაბამისი ჩანაწერების წარმოება გარკვეულ ტექნიკურ დახმარებას მოითხოვს, იმისთვის რომ მათი წარმოება შესაბამისი სტანდარტების დაცვით მოხდეს.

სურსათის მწარმოებელ ბიზნეს ოპერატორს დანერგილი უნდა ჰქონდეს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპების (HACCP) 7 პრინციპი, რომელიც საფრთხეების იდენტიფიცირებით და მათი კონტროლის განხორციელებით უზნებელი სურსათის წარმოების საშუალებას იძლევა. ის გულსიხმობს ყველა პოტენციური საფრთხის წინასწარ დადგენას და მათი პრევენციისთვის აუცილებელი ქმედებების განხორციელებას. HACCP-ის სისტემა სავალდებულო არ არის პირველადი მწარმოებლებისთვის. დღეის მდგომარეობით, HACCP-ის სისტემის გამოყენება სავალდებულოა მხოლოდ სასაკლაოებისთვის და იმ საწარმოებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ნედლი რძის თერმულ დამუშავებას. სისტემის დანერგვა ფასიანია და საწარმოების მხრიდან ფინანსური ხარჯების გაწევას მოითხოვს.

ეგროდირექტივები მოითხოვს სხვადასხვა დასახელების სურსათისათვის დამაბინძურებლების (კონტამინანტების) მაქსიმალურად დასაშვებ ზღვარს და დაბინძურებული სურსათის გამოყენებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. რეგულაცია ასევე ადგენს დაშვებული საკვებ დანამატების სიას, მათი გამოყენების პირობებს და ეტიკეტირების წესებს. გარდა ამისა, ყველა ტიპის სურსათსა და ცხოველის საკვებზე დადგენილია პესტიციდების ნარჩენების ზღვრული დასაშვები დონე. ეს ყველაფერი მოითხოვს საკმაოდ მაღალი ხარისხის ინფორმაციის ფლობას და პესტიციდების შემთხვევაში შესაბამისი ჩანაწერების წარმოებას.

ასევე არსებობს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნა, რომელიც განსაზღვრავს ბაზარზე განთავსებული საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე სავალდებულო ეტიკეტირებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებსა და ბიზნეს ოპერატორის ვალდებულებებს. ტექნიკური რეგლამენტის მიზანია ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვა და საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციის ეტაპებზე ეტიკეტირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა.

ეთიკეტმა უნდა უზრუნველყოს მიკვლევადობა. მართალია წარმოების მთიან დანახარჯებში ეტიკეტს დიდი წილი არ აქვს, მაგრამ ზოგიერთი საოჯახო მეურნეობისთვის მისი დანერგვა დამატებითი ფინანსური ტვირთი იქნება.

ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია არის ცხოველთა ჯანმრთელობის და სურსათის უვნებლობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი და შესაბამისად, ის სავალდებულოა ყველა ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, საქართველო გამონაკლისი ვერ იქნება და დღეის მდგომარეობით, სოფლის მეურნეობის სექტორში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ფართომასშტაბიან რეფორმას წარმოადგენს. სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება ამბობს, რომ სისტემის გამართულად მუშაობის ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორია ცხოველების მფლობელების მოტივირება, რომ მათ მოახდინონ ცხოველის დაბადების, ყიდვის, გაყიდვის თუ გადაადგილების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა, რაც გარკვეულ რესურსებთანაა დაკავშირებული. იგულისხმება როგორც დრო, ასევე ფინანსური რესურსები. სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება ამბობს, რომ რეგისტრაციის პროცესი ტვირთად დააწვა მცირე ზომის ფერმერებს, რაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ანგარიშგასაწევი ფაქტორია.

საბაზისო მოთხოვნების გარდა არის კიდევ Global Gap სტანდარტი, რომელიც არსებობს სოფლის მეურნეობის პროდუქტის პირველადი წარმოებისთვის. ისეთი პროდუქტებისთვის, როგორცაა ხილი, ბოსტნეული და ხორცის პროდუქცია. ის მოიცავს სხვადასხვა ელემენტებს, მაგალითად, პესტიციდების სწორად მოხმარებას, გარემოს დაცვის კუთხით წესებს, რომელიც უნდა გამოიყენოს ფერმერმა, რომ არ გამოიწვიოს გარემოს დაბინძურება; როგორ უნდა დაგეგმოს სწორად თავისი ნათესები, რა საშუალებები უნდა ჰქონდეს იმისთვის, რომ საწარმოში დაცული იყოს პერსონალის უსაფრთხოება, პერსონალის კვალიფიკაცია, ჰიგიენა და სხვა.

რეკომენდაციები

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული დახმარების პროგრამების ანალიზი აჩვენებს, რომ ეს პროგრამები ძირითადად მიმართულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდაზე და ხარისხის გაუმჯობესებაზე, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანობას და გაზრდის ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალს. მართალია რამდენიმე პროგრამას აქვს ტექნიკური დახმარების კომპონენტი, მაგრამ იმ საჭიროებებიდან გამომდინარე, რასაც DCFTA-ის მოთხოვნები წარმოშობს, საოჯახო და ფერმერულ მეურნეობებს უფრო მიზანმიმართული დახმარება სჭირდებათ. მით უმეტეს, რომ DCFTA-ის მოთხოვნების შესრულება სავალდებულო ხასიათს ატარებს და პირდაპირ კავშირშია ქართული პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტთან.

DCFTA-ის მოთხოვნებიდან შესაძლებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულების გამოყოფა, კერძოდ, ახალი სისტემების დანერგვა და ისეთი ცვლილებების გატარება, სადაც ქართველ ფერმერებს და საოჯახო მეურნეობებს უფრო მიზნობრივი დახმარება დასჭირდებათ. კერძოდ:

- დახმარება სურსათის ჰიგიენის მოთხოვნების შესასრულებლად. სურსათის წარმოების პროცესის სრულყოფის, საწარმოს ტერიტორიის, შენობის და სათავსოების მოწყობის, სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობის მიმართულებით. ასევე აღჭურვილობისა და მოწყობილობების შეძენა-განახლების, საქონლის დაფასოების, შენახვის და ტრანსპორტირების პროცესის სრულყოფის მიმართულებით;

- დახმარება საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპების (HACCP) დანერგვის მიმართულებით. როგორც უკვე ითქვა სისტემა ფასიანია;

- დახმარება ეტიკეტირების მიმართულებით, რაც განსაკუთრებით სჭირდებათ მცირე ზომის ფერმერულ და საოჯახო მეურნეობებს;

- დახმარება ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის მიმართულებით. როგორც უკვე ითქვა, სისტემის გამართული მუშაობა დამოკიდებულია ცხოველების მფლობელების მხრიდან ყველა შესაბამისი ინფორმაციის დროულად აღრიცხვაზე და გარკვეული ჩანაწერების კეთებაზე. ეს ყველაფერი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას მოითხოვს, რაც ყველა ფერმერული და საოჯახო მეურნეობისთვის ხელმისაწვდომი არ არის;

- დახმარება Global Gap სტანდარტის დანერგვის მიმართულებით.